ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 31

სხდომის ჩატარების დრო:

29 მაისი, 2024 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეთერთმეტე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, თ.მესხი, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან - 25 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: თ.ჯუღელი, კ.გურული, გრ.შუშანია, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, ი.ჯავახაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 10 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბატონი დ.ერემეიშვილი, მერის მოადგილე, ქალბატონი თ.დახუნდარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პ.ადამაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი, ბატონი დ.ინანეიშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ირაკლი შენგელიამ** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 29 მაისის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 29 მაისის სხდომის რეკომენდაციით, დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულ იქნა მე-7 საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), აღნაგობის ფორმით, მოქალაქე ნანა ნემსაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“, მისი ძირეულად შესწავლის მიზნით.**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31-ე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის № 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის ხელმძღვანელი

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ 2022 წლის 25 მაისიდან 2024 წლის 15 მაისის ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დემურ ინანეიშვილი
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №20-ში), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ავთანდილ ლილუაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: იაკობ გელხვიიძისა და გიორგი ჩიხლაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციონერმა წევრებმა (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) **დასვეს შეკითხვები გამჭვირვალობის კანონთან და ამ კანონის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით. სხდომა მიმდინარეობდა ხმამაღალი კამათის ფონზე.**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „ბატონო ირაკლი, დღის წესრიგის პროექტი, რომელიც თქვენ წარმოადგინეთ, რამდენად შეთავსებადია საქართველოში არსებულ დღევანდელ ვითარებასთან, როდესაც სტუდენტები მართავენ აქციებს, 3000-ზე მეტი ადამიანი არის ადმინისტრაციულად დაჯარიმებული, როდესაც ნაცემი არიან ადამიანები, 84 - მა დეპუტატმა მიიღო რუსული კანონი, როდესაც ამერიკის დეპარტამენტი პირდაპირ და ღიად საუბრობს სანქციებზე, თქვენი აზრით, წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი აკმაყოფილებს თუ არა ქუთაისში მცხოვრები ადამიანების მოთხოვნებს. ემხრობით თუ არა რუსულ კანონს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **თედო მესხი** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „გამოხატეთ თქვენი აზრი. ამით საკუთარ თავსაც გადაირჩენთ და ქვეყანასაც გადაარჩენთ. საკრებულოს სხდომის საკითხებზე მნიშვნელოვანია ეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „ვის რა ჭირს გადასარჩენი, ვისზე ლაპარაკობ თედო?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **თედო მესხი** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „84 რუს დეპუტატზე, 84 მონასა და მოღალატეზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ის 84 დეპუტატი შევა ოქროს ასოებით ისტორიაში თქვენგან განსხვავებით. თქვენ, მართლა მოღალატეებო და მონებო.“

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მერაბ ჭოხონელიძე** („საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“): „რუსული კანონი კი არა, ჩვენ ვემსახურებით ქალაქსაც და ქვეყანასაც. თქვენ რა გაგიკეთებიათ ქვეყნისთვის?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „გვარამიას პარტიის წარმომადგენელი გვესაუბრება ამას. გვარამიას ქვეყანა, მერაბიშვილის ქვეყანა და სააკაშვილის ქვეყანა დავასრულეთ 2012 წელს. ეს ადამიანები საქართველოს სუვერენიტეტის გაძლიერებისათვის ოქროს ასოებით შევლენ ისტორიაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **თედო მესხი** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თქვენ, ცემეთ ქართველი ახალგაზრდები, თქვენ, რუსული კანონის წარმომადგენლებმა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „იცით საერთოდ რუსეთმა რა ქნა და ვინ აჩუქა რუსეთს ტერიტორიები? თუ იმ დროს არ შესწრებიხარ, წაიკითხე ისტორია, კითხვა ხომ იცი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **თედო მესხი** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „დავით ქაცარავა რა დღეში მოაქციეს, ახალგაზრდები რა დღეში მოაქციეს პოლიციელებმა, მოგწონთ ის რასაც ამ ფოტოებზე ხედავთ (საკრებულოს ოპოზიციონერ წევრებს თან ჰქონდათ აქციის ზოგიერთი მონაწილის ფოტოები)?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის დროს მოკლულების ფოტოები რატომ არ გაქვთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **თედო მესხი** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მოგწონთ ეს რაც ხდება, რაც ფოტოებზეა, რასაც პოლიცია და სპეცნაზი მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს უშვება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „პოლიცია იმისთვის არსებობს, რომ წესრიგი დაიცვას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თემურ ნადირაძე:** „სხვათა შორის, ფარებიან პოლიციელებს თავით რომ ეჯახებოდა აქციის ზოგიერთი მონაწილე და ისისხლიანებდა თავს, ესეც ვნახეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ნინო ბიბილეიშვილი** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ვისგან იცავთ სახელმწიფოს ამ კანონით? რისგან იცავთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „ვისგან ვიცავთ და გათხოვილი კაცებისგან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „თქვენნაირი მოღალატეები ვერასოდეს იქნებიან საქართველოში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „ვინაა მოღალატე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „ის ვინც, რუსებს კოდორის ხეობა ჩააბარა. იმ პარტიის წარმომადგენლები როგორ ბედავთ საერთოდ ხმის ამოღებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ თავმჯდომარის მოადგილე, ქალბატონი **ქეთევან ხურციძე:** „ამ კანონით საქართველოს მომავალს ართმევთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „თქვენ თვითონ წაართვით თქვენს თავს მომავალი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „ქალბატონო მარეხ, მე მინდა, მადლობა გადაგიხადოთ, რომ დღეს ასე აქტიურობთ, რომ ასე ერთგულად ემსახურებით პარტიას, რომ მოქმედ პრეზიდენტსაც როგორ მოიხსენიებს ზოგადად თქვენი პარტია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „რასაც ამბობდა მასზე თქვენი ლიდერი გვარამია, ზუსტად ისეთია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე**: „სამი დუბლი გადაღებულია. მისია შეასრულეთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **თედო მესხი** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „რა მისია შევასრულეთ, მონების გადაწყვეტილებას რომ ვაპროტესტებთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „მონა მონაა, გინდ ამერიკის და გინდ ნიკარაგუის. გათხოვილი კაცების მონები ხართ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **თედო მესხი** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „დავით ქაცარავა სიკვდილის პირას მიიყვანეს ცემით თქვენმა პოლიციელებმა. დავით ქაცარავაა მონა და მოღალატე? “

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „დავით ქაცარავა საოკუპაციო საზღვარს იცავდა და იმიტომ სცემეს ალბათ. მე დავსვი ერთი მარტივი შეკითხვა, გმობთ თუ არა რუსულ კანონს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმდომარე, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „არ გრცხვენიათ მაგ ფოტოებს, რომ გვიჩვენებთ? სად იყავით მაშინ აქციის მონაწილეებს, რომ ცემდნენ თქვენი რეჟიმის დროს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „პროგრესის პლატფორმის“ თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი კილაძე:** „როდის სად ვიყავი? მაშინ ამ პარტიის წევრი არ ვიყავი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **თედო მესხი** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „84 მოღალატე რუსი დეპუტატი გყავთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „თქვენი პარტიის წარმომადგენელი ხელფასს რუსეთიდან, რომ იღებს, ის ამერიკელია?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ სხდომაზე გამოაცხადა შესვენება 10 წუთით.

შესვენების დასრულების შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის წევრების მიერ, სხდომაზე გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ერთი რამ, რაც მინდა ვთქვა. მესმის ჩვენი ოპოზიციონერი კოლეგების დღის წესრიგი და ჩემთვის ეს არაა ახალი. საკრებულო არ არის ის სივრცე, სადაც ასეთი რამ უნდა მოხდეს. საკუთარ ამომრჩეველს თავად უნდა სცენ პატივი. ეს არ არის მათი ამომრჩევლის დღის წესრიგი. მართლა მაინტერესებს ერთი რამ. მოგმართავთ, ამ პოლიტიკურად და პარტიულად მიკერძოებულ მედიას. ყველამ იცის როგორ და რა ფორმით აშუქებთ მოვლენებს. თქვენ პირადად მოგწონთ აქაურობა? რას ვაწვდით

საზოგადოებას? მართლა არ შეიძლება, ყოველი სხდომის წინ, მათ ჰქონდეთ ამგვარი დღის წესრიგი. მეუბნებიან, საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები არ განვიხილო. ვისზე მელაპარაკებით? მათი პარტიის ლიდერი გახლავთ ნიკა გვარამია. აქ ყველაფერი ნათქვამია. საზოგადოებამ კარგად იცის, რასაც წარმოადგენს. უბრალოდ, მორალური უფლება ან შინაგანი განცდა ხომ უნდა გქონდეს იმისა, რომ ისაუბრო ძალადობაზე, მაშინ როდესაც იცი, ვინ არის შენი ლიდერი. შინაგანი რაღაც ხომ უნდა გაწუხებდეს. 2004 წლიდან პირველი რაც დაიწყეს, ახალგაზრდებზე შეტევა იყო. პირველი რაც გააკეთეს, უნივერსიტეტებს წაართვეს დამოუკიდებლობა. რექტორად მოავლინეს პრეზიდენტის დედის დაქალი. კარგად მახსოვს ეს ყველაფერი. რამდენიმე სტუდენტმა გავაპროტესტეთ, რადგან ვიცოდით, რომ სამედიცინო უნივერსიტეტს იგივე ბედი ელოდა. პირველ კორპუსში ვიცავდით უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას. იმას, რომ აკადემიური საბჭოს წევრებისათვის ხელები არ გადაეგრიხათ და თავში არ ერტყათ. რექტორად ირჩევდნენ და საბჭოს უმრავლესობა მზად იყო, აერჩია რექტორად მიხეილ ქურდიანი. მე მგონი, ყველამ კარგად იცის, ვინ არის ეს პიროვნება. ამას სტუდენტთა ჯგუფი ვაპროტესტებდით, იმიტომ, რომ კარგად გვესმოდა სადამდე მივიდოდა უნივერსიტეტის ბედი. რა დღეში ჩაგვაგდეს და რა დღეში მოგვაქციეს მაშინ, ამას ენით ვერ აღვწერ. 2007 წელს, მაშინდელმა ხელისუფლებამ გადმოკიდა ბანერი, ჩვენ სტუდენტები, რომლებიც მხარს ვუჭერდით ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებს, ვითომ ვიღაცის მარიონეტები ვიყავით. რეალურად, ადამიანის უფლებებს ვიცავდით. ზემოთ, რომ ავედი ბანერის ჩამოსახსნელად, არ ვიცი სად აღმოვჩნდი და როგორ აღმოვჩნდი. პირად მაგალითზე ვყვები ამ ყველაფერს და დღეს ესენი ახალგაზრდებისა და სტუდენტების უფლებებზე გველაპარაკებიან. ძალადობა ნებისმიერი ფორმით არის მიუღებელი ჩემთვისაც და საერთოდაც, ვინ მოიწონებს ძალადობას. მაგათი მმართველობის პერიოდში, 26 მაისს, გვამები შემოაწყვეს ჯიხურის თავზე, დენმა დაარტყათო და ესენი გველაპარაკებიან დღეს დემოკრატიაზე. საქართველოს პრეზიდენტს, როდესაც ვირჩევდით, რა არ უძახეს, მათ შორის მათმა ლიდერმა. წადით და იმ დღის წესრიგით იმოქმედეთ. მოვა არჩევნები და ვნახოთ, რა შედეგი დადგება. ხომ შეიძლება ცივილურად განვიხილოთ ყველაფერი. მეეჭვება, მაგრამ

თუ მოხვალთ უმრავლესობაში, შეცვალეთ რაც არ მოგწონთ. ამათი ძალადობა ყველას გვახსოვს. თურმე თედო მესხი ყოფილა პატარა და არ ახსოვს ეს ძალადობრივი ამბები. თან რუსეთუმეს მეძახის მე. მათი გუბერნატორი კოდორის ხეობაში გაუძღვა რუსებს 2008 წელს, ომის დამთავრებიდან 3 თვეში. მათმა ლიდერმა მხარი დაუჭირა რეზოლუციას, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ საქართველომ დაიწყო ომი რუსეთთან. თვითონ დაადანაშაულეს საკუთარი სახელმწიფო. მესმის, რომ სულ წარსულზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ მორალური განცდა ხომ უნდა გაწუხებდეს, რომ განსაზღვრო რაღაცაზე შეიძლება ისაუბრო და რაღაცაზე არ ისაუბრო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თემურ ნადირაძე:** „მერაბ კოსტავას, რომ ხელი გაარტყა, ის კაცი საუბრობს ახლა დემოკრატიაზე. რუსეთუმეობას გვედავებიან და ამასთან დაკავშირებით ერთ ფაქტს გავიხსენებ, 2008 წლის ივნისში დირექტივა მოვიდა, ინტერვენციული მედიცინის ცენტრი ჰოსპიტლად უნდა გადაკეთებულიყო. მაშინ, საავადმყოფოს მთავარი ექიმი ვიყავი. კახა ნურალიძე და მე ერთად დავდიოდით და ნაბიჯ-ნაბიჯ ვეძებდით, სად განვთავსებულიყავით. ივნისის დასაწყისში ჰოსპიტლად უნდა გადაკეთდეს საავადმყოფოებიო. ომი აგვისტოში დაიწყო. მეტს არაფერს ვიტყვი. დანარჩენი თვითონ განსაჯეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „მესმის, რომ წარსულზე საუბარი არ შეიძლება, მაგრამ ის წარსულია ზუსტად, რომლის შედეგებსაც ახლა ვიმკით. ამათ ყოველთვის კიდევ უფრო მკაცრად უნდა ვუთხრათ და შევახსენოთ, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, მაშინ რას აკეთებდნენ. ერთი რამ კიდევ, მათ საქართველოში კაცების გენოციდი მოაწყვეს. ჯერ ხომ დახოცეს ახალგაზრდა ბიჭები, მერე ციხეებში გააუპატიურეს. ერთი რამ მინდა ვუთხრა სალომე ზურაბიშვილს, რომელიც დღეს ამათი ლიდერია, თანამდებობების განაწილების დროს, მეგის ქარდავასთვის არ დაავიწყდეთს თანამდებობის მიცემა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე**: „მოგესალმებით მეგობრებო.

წარსულს არ შევეხები, იმიტომ, რომ ძალიან ღრმად წავალთ. შევეხები კანონს, რომელსაც აბრალებენ, რომ არის რუსული და რეალურად წმინდა წყლის ქართული კანონია. გაინტერესებთ, თუ არა ვინ აფინანსებს ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ორიენტირებულია, რომ საბავშვო ბაღებში იყოს არა ორი, არამედ ერთი საპირფარეშო. ამ შემთხვევის გამო, საპატრიარქოში გვთხოვეს მისვლა პარლამენტის წევრებს ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტიდან და ეს იყო გამაოგნებელი რამ. შეკითხვა დავსვი, რატომ სურდათ, ყოფილიყო ერთი საპირფარეშო საბავშვო ბაღში და არა ორი: ბიჭებისა და გოგონებისთვის ცალ - ცალკე. პასუხად მივიღე, რომ „ბავშვმა არ იცის, ჯერ რა სქესის არისო. თქვენ აძალებთ, რადგან ბიჭია - ბიჭის ტუალეტში შევიდეს, გოგონები - გოგონების ტუალეტშიო. ბავშვი, რომ გაიზრდება თავად გადაწყვეტს, ვინ უნდა იყოსო.“ მე მაინტერესებს, ვინ აფინანსებს ამ ორგანიზაციას, რომელიც ძალიან ფუნდამენტალურ საკითხებს ეხება და ბავშვის ფსიქოლოგიაზე მოქმედებს. ასევე, პარლამენტში მუშაობის დროს, ორი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი გამუდმებით გვეკითხებოდა, რატომ არ ვაძლევდით ხმას ნარკო ლიბერალიზაციას. საუბარი იყო ყველა სახის ნარკოტიკის ლეგალიზაციაზე. პირადად მე ვარ ამ ამბის მომსწრე. ევროპარლამენტის წევრები აქტიურად ითხოვდნენ ამ საკითხის ლეგალიზებას რამდენიმე ადამიანისგან, რომლებიც ვიყავით ამ კანონის მოწინააღმდეგე. ეს ხდებოდა 2016 წელს. ვიკითხე, რატომ ითხოვდნენ ამ კანონს, პასუხი: „ადამიანი თავისუფალია და უფლება აქვს, რაც უნდა ის გააკეთოსო“. ვიკითხე, იყო თუ არა მათ ქვეყნებში ეს კანონი მიღებული. „არაო“ - მიპასუხეს. უცხო ქვეყნის ზემოქმედება პარლამენტის წევრებზე არ უნდა ხდებოდეს, არ უნდა ხდებოდეს არასამთავრობო ორგანიზაცის ლობირება, რაღაც უმსგავსოებისა, წმინდანების უხამს ნივთებზე დატანა, იმ ტელევიზიის ლობირება, სადაც გამოდის ერთ-ერთი პიროვნება და ამბობს სიბინძურეს ქართულ ღვინოზე. ნუთუ არ გვაინტერესებს, ვინ აფინანსებს მათ. ბატონმა ირაკლი კობახიძემ სწორად თქვა, რომ 80 %-ზე მეტი მხარს უჭერს ამ ქართულ პროექტს. ვალდებულება იყო ჩვენი მეგობრების, რომ ეს კანონპროექტი ბოლომდე მიეყვანათ ჩვენი ქვეყნისა და მომავლის განვითარებისათვის და იმიტომ არ ჩერდებიან ახლა ესენი აქ. სამი დუბლი გადაიღეს, რაღაცეები ჩაერიცხებათ და ესაა მათი მისია. უნდა იცოდეს ყველამ, რომ არსებობენ ძალიან ცუდი არასამთავრობო

ორგანიზაციები, რომლებიც ძალიან ბევრ ცუდს რამეებს ჩადიან ჩვენი ქვეყნის წინაშე. ამიტომ იქნება რეესტრი, რომელიც გამოავლენს ვინ ვინ არის.“

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზაქრო მამასახლისი:** „არამარტო არასამთავრობო ორგანიზაციები, ელჩებმა რა გვაკადრეს. მათი იმედი აქვთ და იმიტომაც არიან ამხელა „გონორზე“. დავარქვათ თავისი სახელი ყველაფერს და სტრატეგიული პარტნიორები ვუძახოთ. ვენაცვალე ამ ბიჭებს, რომ ასეთი ვაჟკაცური ნაბიჯები გადადგეს. მე ვარ ბედნიერი და ამაყი, როგორც ქართველი და არა ისეთი შერცხვენილი, როდესაც ის კანონი გაიწვიეს უკან. ის იყო ყველაზე მძიმე დღე ჩემს ცხოვრებაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თემურ ნადირაძე:** „ამ ერთი თვის განმავლობაში, რაც ეს აქციები ტარდება, ყოველ ღამე პირჯვარს ვიწერდი, რომ მშვიდობით დასრულებულიყო, რა თქმა უნდა, დასისხლიანებული ადამიანის ნახვა ცუდია, მაგრამ ისიც ვნახეთ, ელისაშვილი და მისთანები ფარებს როგორ ეჯახებოდნენ თავით. ვინ ლაპარაკობს სიტყვის თავისუფლებაზე, მედიის თავისუფლებაზე? 2012 წელს, პირველი მიტინგი იყო თბილისში, წავედით იმიტომ, რომ დაგვენახა ეს კაცი, ეს ქველმოქმედი ადამიანი. რუსთაველზე 300 ათას კაციან მიტინგზე 10 წუთით გავიარე. მეორე დღეს დამირეკეს სახლში, 24 წლის სტაჟის მქონე ექიმს, ხვალ სამსახურში არ მიხვიდეო. ესენი გელაპარაკებიან სიტყვის თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებზე. შეხვედრაც არ იკადრეს, თემური დაგაფიქსირეს მიტინგზეო. ტელეფონზე დამირეკეს. ბავშვთა ენდოსკოპისტი, ერთადერთი ვარ დასავლეთ საქართველოში. არც ექიმად არ უნდა დავრჩე-თქო და არა, არ უნდა დარჩეო. ესენი გესაუბრებიან სიტყვის თავისუფლებაზე. ეს მიშლის ნერვებს, თორემ, საკამათო თემებს რა დალევს. მერაბ კოსტავას ხელი გაარტყეს და დღეს ჭკუას გვასწავლიან, ეროვნულ გმირებად უნდათ თავი წარმოაჩინონ. მოწმეა მამუკა იოსელიანი, „გპის“-თან, რომ მივიდა დელეგაცია, ხაზარაძემ, რომელიც კომკავშირის კომიტეტის პირველი მდივანი იყო, ხელი დაარტყა მერაბ კოსტავას და ამის მერე ქვეყანა გაძარცვა, დღეს ეროვნულ საკითხებზე გველაპარაკება, როდის უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმდომარე, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „2010 წელს 142 მკვდარი პატიმარი გამოიყვანეს ციხიდან. მათ შორის - 5 ჩემი მეგობარი. სად იყო რომელიმე მათგანი მაშინ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თემურ ნადირაძე:** „კილაძემ ბრძანა, მაშინ არ ვიყავი პარტიის წევრიო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „1941- 45 წლებში მეც არ ვიყავი ფაშისტური პარტიის წევრი, მაგრამ შემდეგაც არ გამომითქვამს სურვილი მათ გვერდით დგომისა, მათი პარტიის წევრი არასოდეს არ გავმხდავარ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „უბედურება იცით რა არის? ეს ახალგაზრდები აყვნენ გათხოვილ კაცებს და ის მაშფოთებს, რომ მათ გვერდით ვინც გაივლის, ის ყველა პოტენციური „ნაცია“.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მერაბ ჭოხონელიძე** (საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“): „შეიძლება საკრებულოს სხდომა ჩაიშალოს იმის გამო, რომ მათ დროშები აფრიალონ და ფოტოები გამოფინონ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე:** „აქ დაისვა შეკითხვა, მოითხოვეს პოზიციის გამოხატვა და ისე, რომ არ გამოვიდეს, თითქოს გავერიდეთ ჩვენი პოზიციის გამოხატვას, ამიტომ ვცემ პასუხს. 84 დეპუტატი არის ნამდვილად ქართველი და საქართველოს ძლიერება. მათ დიდი ქართული საქმე გააკეთეს, რომელიც ჯერ ვერ გავაცნობიერეთ და დროთა განმავლობაში, ამას ის ადამიანებიც მიხვდებიან, რომლებსაც არ სურთ გაიგონ და დღეს სხვა პოზიციაზე არიან. თუმცა, არის ადამიანების კატეგორია, რომლებიც ვერასოდეს გაიგებენ ამ ყველაფრის არსს. მათ არც სამშობლოს ფასი იციან, არც გმირობის ფასი. ღმერთმა მოახმაროთ ის გათხოვილი კაცები, რომლებიც უცხოეთიდან არიან, ბევრი აქაცაა გათხოვილი. წავიდნენ ასეთები საზღვარგარეთ და დარეგისტრირდნენ. ღმერთმა ტკბილად აცხოვროთ თავის დედამთილ - მამამთილებთან. მე იმ 84 ქართველი გმირის

გუნდის წევრი ვარ, რომლებმაც ხმა მისცეს საქართველოს დამოუკიდებლობას და საქართველოს ბედნიერ მომავალს. გაფერადებული ფოტოები რომ ჰქონდათ მოტანილი, ალბათ, ისე მკაფიოდ არ ჩანდა სისხლი. რატომ არ მოიტანეს ის ფოტოები, მაგათი მმართველობის დროს, გვამები რომ იყო შემოყრილი ჯიხურის თავზე ან ახლა, იმ ვითომ მშვიდობიანი მიტინგების დროს რამდენ პოლიციელს მოხვდა მათ მიერ ნასროლი ქვა. მე ამაყი ვარ, რომ ჩემი შვილი კონსტიტუციური წყობის მხარეზე იდგა, ქვების წვიმა მოდიოდაო და ერთ - ერთს, ორ მეტრიან ქართველ ვაჟკაცს ქვა, რომ მოხვდა თავში, მოწყვეტილად დაეცაო, სადაა ამ ფაქტების ამსახველი ფოტოები? ამ დროს თედო მესხი ამბობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება არ მინახავს და აფხაზეთი მახსოვსო. "

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს 31-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ჯუღელი, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ი.ჯავახაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31-ე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **პირველი** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის**

საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 29 მაისის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის №1 დანართის ცხრილის მე-5 პუნქტში გასწორდა „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების ნუმერაცია; დადგენილების პროექტის №2 დანართში გასწორდა გამოანგარიშებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, დანართის პირველ პუნქტში, ადმინისტრაციულ სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვი: „19“, შეიცვალა რიცხვით: „20“; დადგენილების პროექტის №4 დანართში ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვი: „107“, შეიცვალა რიცხვით: „108“. გამომდინარე აქედან, ამ დანართის მე-2 პუნქტში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სხვა პირების რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვი: „95“, შეიცვალა რიცხვით „96“)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **პეტრე ადამაძემ.**

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19 - მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ჯუღელი, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ი.ჯავახაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: საკრებულოს 1-მა წევრმა, ქალბატონმა ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **პირველ** საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის, **პეტრე ადამაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის **№99 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის № 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №99** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-2** საკითხის - **„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ 2022 წლის 25 მაისიდან 2024 წლის 15 მაისის ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ“**

ზემოაღნიშნული **ანგარიში** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 29 მაისის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(ანგარიშის სათაური და ტექსტობრივი ნაწილი გაიმართა რედაქციულად)**, წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა, ბატონმა **დემურ ინანეიშვილმა.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი ანგარიშის თაობაზე მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 29 მაისის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ ჩაემატა „გ“ ქვეპუნქტი; განკარგულების პროექტის სათაური და პირველი მუხლი გასწორდა რედაქციულად),** ცვლილებით, წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ,** ბატონმა **ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ჯუღელი, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ი.ჯავახაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეორე** საკითხზე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის, **დემურ ინანეიშვილის** მიერ წარმოდგენილ **ანგარიშთან** დაკავშირებით, მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის **№287 განკარგულების** პროექტში.

(„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ 2022 წლის 25 მაისიდან 2024 წლის 15 მაისის ჩათვლით გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ“ **განკარგულება №287** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-3** საკითხის -**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №20-ში), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 29 მაისის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა ქალაქ ქუთაისის**

მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ინვესტიცია კეთდება სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ეს არის კერძო ინვესტიცია, რომელიც ეხება საკალათბურთო დარბაზის მშენებლობას. მინდა, ინიციატორებს ვუსურვო წარმატება. ამ პროცესს და ამ საკითხს, რა თქმა უნდა, მხარს დავუჭერთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ჯუღელი, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ი.ჯავახაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მესამე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის **№288 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა №20-ში), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ **განკარგულება №288** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-4** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 29 მაისის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ჯუღელი, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე,

ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ი.ჯავახაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეოთხე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის **№289 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**განკარგულება №289** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-5** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ავთანდილ ლილუაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 29 მაისის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,

ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ჯუღელი, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ი.ჯავახაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეხუთე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის **№290 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ავთანდილ ლილუაშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №290** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის **მე-6** საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული**

უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: იაკობ გელხვიიძისა და გიორგი ჩიხლაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2024 წლის 29 მაისის სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილობითი მომართვის ნომერი და თარიღი; განკარგულების პროექტის მე-3 მუხლი გასწორდა რედაქციულად)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ჯუღელი, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ი.ჯავახაძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის **მეექვსე** საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის

მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის **№291 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: იაკობ გელხვიიძისა და გიორგი ჩიხლაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №291** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31-ე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს 31-ე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 - ე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE
Date: 2024.06.18 11:58:20 +04'00'

ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.